ახალი

# განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,



განთიადი

85 წელი თქვენთან ერთად!

2016 წელი 30 მაისი № 5 № 8111

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com



## პირველი ივნისი – ბავშვთა დაცვის დღე

გილოცავთ!













# “ჩვენ გადავწყვიტეთ ეს დღე მოგილოცოთ კასპიდან...”

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სასირეთში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ წირვას დაესწრო და საქართველოს მოსახლეობას გიორგობა მიულოცა.



“ჩვენ გადავწყვიტეთ ეს დღე მოგილოცოთ კასპიდან, სოფელ სასირეთიდან, სადაც 145 წლის წინ 6 მაისს დაიბადა ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მებრძოლი, დაუმარცხებელი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. ღვაწლი, რომელიც წმინდა გიორგიმ თავის დროზე მოწამეობრივად გაიარა არაერთხელ განმეორებულა ჩვენი ერის ისტორიაში. არაერთი ადამიანი ყოფილა რომელსაც იგივე იდეალით უცხოვრია. ყოფილა მებრძოლი, იარაღით ხელში და ამავე დროს ემსახურებოდა ყველაზე ნათელ იდეალებს, ემსახურებოდა სამშობლოს - საქართველოს. ასეთი ადამიანი იყო ჩვენი ქვეყნის გენერალი გიორგი მაზნიაშვილი, რომელიც სამშობლოს სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა”.



# მეორე მსოფლიო ომის ყველა ვეტერანს პირად ანგარიშზე ჩაერიცხა თანხა

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტში საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, ვეტერანებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს, ჩატარდა მათი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი.



ღონისძიება გიორგი სააკაძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაგრძელდა. ვეტერანებს მიესალმნენ, საჩუქრები და პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილისგან მისალოცი ბარათები გადასცეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, მისმა მოადგილემ თეიმურაზ ხიზანაშვილმა და საქართველოს სახელმწიფო ვეტერანთა კავშირის წარმომადგენელმა კასპში გოჩა კობაურმა.

ყველა ვეტერანს ადგილობრივი ბიუჯეტიდან პირად ანგარიშზე ჩაერიცხა 250 ლარი.

9 მაისთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით მეორე მსოფლიო ომის ყველა ვეტერანს გადაეცა ერთჯერადი სოციალური დახმარება 600, ხოლო ომში მარჩენალ დაკარგულთა ოჯახებს 300 ლარი.

ომის ვეტერანთა პატივსაცემად გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ფოლკლორული ანსამბლი “მოურავი,” ცეკვის ანსამბლები: “რკონი”, “დიდგორი,” “ქართლი” და “იმედი”.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.**

# ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი

კასპის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი შენობა გადაეცა.

ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ შიდა ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი დავით ტორუა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მისი მოადგილეები თეიმურაზ ხიზანაშვილი, ჯამბოლატ ქამხაძე და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანუჩარ მერებაშვილი.

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამაზე ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმებიც მეტყველებს, დღეს ცენტრს სასწრაფო დახმარების კიდევ ერთი ავტომანქანა გადაეცა - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა.



# მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს

ბუნებრივი აირი ამჯერად, კასპის მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ სოფელში შევიდა. ამ დროისთვის სოფელ სასირეთის სრული გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დასრულდება. ენერგეტიკის სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკისგან მოპოვებული მხარდაჭერით სასირეთის დევნილთა დასახლებაში გაყვანილი გაზსადენი კომპაქტური დასახლების გარდა ბუნებრივი აირით მიმდებარე სოფლებსაც მოამარაგებს.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი სასირეთში მცხოვრებ ბეჟიტაშვილების ოჯახშიც იმყოფებოდა, რომელსაც უკვე მიეწოდება ბუნებრივი აირი. გამგებელმა ოჯახის წევრებთან ერთად გაზქურაც აანთო. თავის მხრივ ბეჟიტაშვილებმა მადლობა გადაუხადეს როგორც ენერგეტიკის სამინისტროს, ასევე ხელისუფლებას და შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციას გაზიფიცირების პროცესში გაწეული საქმიანობისა და ყურადღებისათვის. მათი თქმით ბუნებრივი აირის შემოსვლა მოსახლეობას ხელს შეუწყობს ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში და მათ მრავალი პრობლემის გადაჭრაში დაეხმარება. ლია ბეჟიტაშვილის თქმით ბუნებრივი აირი ოჯახებს განსაკუთრებით ზამთრის სიცივეების დროს გაუწევს დახმარებას.



უახლოეს ხანში სასირეთის მსგავსად სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის მეტეხის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ბარნაბიანთკარშიც დაიწყება. რაც შეეხება მეტეხის, ახალქალაქის, ქვემოგომის, ახალციხის, ხოვლის, ზემოხანდაკის ადმინისტრაციულ ერთეულებს - მიმდინარეობს ცენტრალური მკვებავი მაგისტრალის მონტაჟი.



## ეროვნული სამოსის დღე

18 მაისს კასპში - ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა. ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა კოლონამ ქართული დროშებით ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე მოაწყო მსვლელობა და კულტურის ცენტრის წინ საზეიმო კონცერტს შეუერთდა.

კონცერტში საქართველოს ყველა კუთხის ცეკვა იყო წარმოდგენილი, უკრავდა არღანი, მედუდუკეთა ანსამბლი, მღეროდა ფოლკლორული ანსამბლი “მოურავი”.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და ეროვნული სამოსის დღის აღნიშვნას მიესალმა. ღონისძიების მონაწილეებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მიესალმა, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი სოფელ ფერმის საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე.

ქალაქის ცენტრში გამოფენილი იყო ძველი ქართული ტრადიციული საოჯახო ნივთები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ნაქარგები, თექაზე შესრულებული ნამუშევრები, ფოტოსურათები და სხვა.

## სამუშაოს შესასრულებლად თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო



კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოხანდაკში სასმელი წყლის სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები ჩატარდა.

სამუშაოს შესასრულებლად 25 000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო და მას შპს “ფუძე” ასრულებს. სამუშაოების მიმდინარეობა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და მისმა პირველმა მოადგილემ ჯამბოლატ ქამხაძემ დაათვალიერეს.

## ხიდის მშენებლობა გრძელდება



ქალაქ კასპში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე ე.წ. წყალსაქაჩის მიმდებარედ, საავტომობილო ხიდის მშენებლობა გრძელდება.

რკინა-ბეტონის ხიმინჯების მოწყობის შემდეგ ხიდზე კონსტრუქციის შემაერთებელი - ბეტონის ე.წ. რიგელების დალაგება მიმდინარეობს.

## გამწვანების აქცია

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ - “ორქისი”-ს ინიციატივითა და დახმარებით კასპის მუნიციპალიტეტში გამწვანების აქცია ჩატარდა. “ორქისმა” კასპის მუნიციპალიტეტს კვიპაროსის, ბროწეულის და კაკლის ნერგები გადასცა.

ნერგები ქალაქის ცენტრალურ სკვერსა და ჭავჭავაძის, რუსთაველისა და ტოლსტოის ქუჩების მიმდებარე ახალ სკვერებში დაირგა.

კასპის მუნიციპალიტეტი და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი მესამე წელია თანამშრომლობს. აქციის მონაწილეებს “ორქისი”-ს წარმომადგენლებმა წიგნები, ბუკლეტები და მაისურები გადასცეს. აქციის დასასრულს კი გამაგრილებელი სასმელითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლიერებას გამოთქვამს საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ “ორქისი”-ს მიმართ გამწვანების აქციების ჩატარებაში დახმარებისათვის.



## №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები



ქალაქ კასპში №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც უცხოური საწარმოს ფილიალი “ფერლითჯორჯია” აწარმოებს.

საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია ითვალისწინებს შენობის სახურავის მოთუთიებული პროფენილით მოწყობას, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრების დაყენებას, იატაკზე ლამინატის დაგებას, კედლების ამოშენებას, ელექტრო გაყვანილობის, საკანალიზაციო და სასმელი წყლის ქსელის შეცვლას, შეკიდული ჭერის და სველი წერტილების მოწყობას, კედლების სამღებრო სამუშაოებს, ეზოს შემოღობვას და შენობის ფასადის რეაბილიტაციას.

სამუშაოებზე 276 130 ლარი დაიხარჯება, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა. სამი წელია, მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. წელს ქალაქის სამი საბავშვო ბაღის სრულ რეაბილიტაციას ჩავატარებთ. სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მოკლე ვადაში მოვახდინოთ ყველა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და პატარებს სათანადო პირობები შევუქმნათ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

## სასაჩუქრე პაკეტი

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აფხაზეთიდან, სამაჩაბლოსა და ახალგორიდან დევნილ და იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს სააღდგომო, 70 ლარიანი სასაჩუქრე პაკეტი გადასცა.

სასაჩუქრე პაკეტი მოიცავდა სააღდგომო პასკას, ერთ ფილა კვერცხს, 2 ცალ ქათამს, 5 ლიტრ ზეთს, 5 კილოგრამ შაქარს, 5 კილოგრამ ფქვილს, 2 ქილა შესქელებულ რძეს, 3 შეკვრა კარაქსა და კილოგრამ ტკბილეულს.



სააღდგომოდ, სასაჩუქრე პაკეტი 351 დევნილ და იძულებით გადაადგილებულ ოჯახს გადავეცით. ჩვენი ვალია თანადგომა გავუწიოთ მათ და შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ჯამბოლატ ქამხაძემ.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.**

# ,,თუიაფის,, საერთაშორისო გამოფენაზე




**მოწინავე სამედიცინო გამოკვლევებისა და ეფექტური მკურნალობისათვის აუცილებელია სფეროს მიღწევებისათვის მუდმივად თვალის მიდევნება. საოცრად სწრაფად განვითარებადი სამედიცინო დარგი ექიმებისგან მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას.**

**საერთაშორისო ორგანიზაციები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აწყობენ ღონისძიებებს, სადაც შესაძლებლობა იქმნება ერთ არეალში მოხდეს მოწინავე ტექნოლოგიების გაცნობა. თურქეთის საერთაშორისო საგამოფენო და კონგრესცენტრის, ბიზნეს პალატის მიწვევითა და დაფინანსებით "თუიაფის" საერთაშორისო გამოფენაზე მიწვეული იყო ექიმი იამზე ქამხაძე. რა სიახლეები იყო სტამბოლში, როგორია უახლოესი პერსპექტივა, გვესაუბრება ექიმი იამზე ქამხაძე.**

- ქალბატონო ია, რას გვეტყვით სტამბოლის "თუიაფის" საერთაშორისო საგამოფენო ცენტრში ჩატარებულ ევრაზიის გამოფენებზე?

- სტამბოლში თუიაფის საერთაშორისო საგამოფენო და კონგრესცენტრ ბეილიქდუზუში, ჩატარდა ევრაზიის მნიშვნელოვანი გამოფენები:

2016 (სტამბოლის 23-ე საერთაშორისო სამედიცინო (ტექნიკის) ანალიზის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, სარეაბილიტაციო პროდუქციის, მოწყობილობების, სისტემების, ტექნიკის, აღჭურვილობებისა და საავადმყოფოების გამოფენა.
- სამედიცინო ესთეტიკისა და კოსმეტიკის, პროდუქციის, აპარატებისა და აღჭურვილობების, შესაბამისი ხელსაწყოებისა და დამხმარე დანადგარების სპეციალური განყოფილება) და მეორე სტამბოლის მე-19 საერთაშორისო სამედიცინო ლაბორატორიული ტექნიკა-სისტემებისა და აღჭურვილობების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო: სამედიცინო ტექნოლოგიები და მედიცინა დიაგნოსტიკა და ვიზუალიზაცია პაციენტის ტრანსპორტირების, შეზღუდული ქმედუნარიანების, ფიზიოთერაპიის და ორთოპედიული პროდუქცია, საავადმყოფო და საოპერაციო ოთახები, ჰიგიენა და დეზინფექცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომუნიკაციები, საავადმყოფო და სამედიცინო აღჭურვილობების მენეჯმენტი, საავადმყოფოები და ჯანმრთელობის ცენტრები, თერმალ ჯანმრთელობა და სამედიცინო ტურიზმი, ლაბორატორიული მოწყობილობები, სამედიცინო ლაბორატორიული პროდუქცია, სამრეწველო ლაბორატორიული პროდუქცია, სატესტო და საზომი მოწყობილობები, ზოგადი ლაბორატორიული მოწყობილობები და სისტემები, ლაბორატორიული მასალები და სისტემები, სამედიცინო პროდუქცია და ფარმაცია.

"თუიაფის" საგამოფენო და კონგრესცენტრი გაიხსნა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში და დღესდღეობით წარმოადგენს ევრაზიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგამოფენო-სასწავლო და ბიზნეს სტრუქტურას დიდი წარმომადგენლობებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და უდიდესი საგამოფენო სივრცეებით თურქეთის მრავალ დიდ ქალაქში.

საქართველოს დელეგაცია სოლიდური წარმომადგენლობით იყო გამოფენაზე. გახსნა ჩატარდა საზეიმო და საქმიან ატმოსფეროში, ტელევიზიის, მასმედიის მიერ გაშუქდა სათანადოდ. ევროპისა და აზიის ყველა ცნობილი კომპანიის პროდუქციის გაცნობა შესაძლებელი იყო ადილზე. ადგილზე ტარდებოდა მასტერ კლასები, შეხვედრები, ძალიან სასარგებლო იყო შეხვედრები მწარმოებლებს, დისტრიბუტორებსა და სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებს შორის. ღონისძიებამ საშუალება მისცა ჩემს კლინიკას, რომ გაფორმებულიყო ხელშეკრულება ახალი გამოკვლევის აპარატურის შემოტანაზე, რომელიც დღემდე ჩვენი რაიონის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი არ იყო.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრები იყო აგრეთვე, სხვა ქვეყნის წარმომადგენლობებთანაც. უნდა აღინიშნოს თურქული მხარის, ,,თუიაფის" საქართველოს წარმომადგენლობის განსაკუთრებული მონდომება, რამაც ჩვენი სტამბოლში ყოფნის პერიოდი ძალიან კომფორტული და ნაყოფიერი გახადა. იმედია, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მსგავსი სახის ღონისძიებები მომავალშიც განავითარებს ქართული სამედიცინო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ასევე საინფორმაციო წვდომას მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების კუთხით და ხელს შეუწყობს, როგორც თურქეთთან ასევე მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან პოზიტიური ურთიერთობების გაძლიერებას.

- სამომავლო პერსპექტივაზე რას გვეტყვით?

- ორ თვეში დაგეგმილია ჩემი ვიზიტი ისრაელში, სადა ხა გოლდამაიერის ინტერნაციონალურ სასწავლო ცენტრში დავესწრები ფორუმს ქალთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე. მე ერთადერთი მონაწილე ვარ, რომელიც შერჩეულია საქართველოდან საკმაოდ მომთხოვნი საკონკურსო ეტაპების წარმატებულად გავლის შემდეგ. შერჩევა-კონკურსი ჩატარდა ისრაელის საელჩოსა და მასთან არსებული მაშავის ცენტრის მიერ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვიზიტი საშუალებას მომცემს გავეცნო, როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, განსაკუთრებით კი ისრაელის სამედიცინო დაწესებულებებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მოწინავე გამოცდილებებს, ეს ნამდვილად დადებითად აისახება ჩვენი პაციენტებისა და ჩვენი რაიონის მოსახლეობის მკურნალობის პროცესზე.

ნ. ხატიძე.

# ვერნისაჟი

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან (დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი) არსებულმა ხატვის წრის მეოთხე კურსელმა მოსწავლეებმა ტრადიციული, შემაჯამებელი გამოფენა გამართეს... გამოფენის გახსნას ბევრი სტუმარი ეწვია. კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში შეიკრიბნენ განათლებისა და კულტურის მუშაკები, მოსწავლეები, მშობლები...

საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო ოთხმოცზე მეტი ფერწერული ნამუშევარი, სულ კი ოცი პატარა მხატვრის ნახატი. ბავშვთა შემოქმედება იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო, რომ ყველა მოიხიბლა. აქ იყო იმპრესიონიზმის, პუანტილიზმის, აბსტრაქციონიზმის, სიურიალიზმის და სხვა ჟანრისა და მიმდინარეობის ნახატები.

— ბავშვთა წლევანდელ გამოფენას ერთი საინტერესო სიახლეც ახლდა, — საუბრობს ხატვის წრის პედაგოგი ნელი გოგოლაძე, — დიახ, სამსჯავროზე გამოვიტანეთ მოსწავლეების ოთხიწლისწინანდელი, ანუ სულ პირველი ნახატი, ამით, რა თქმა უნდა, ერთგვარი პატარა ექსპერიმენტიც ჩავატარეთ, ერთი სიტყვით, დამთვალიერებელმა, დიდმა თუ პატარამ, თავად ბავშვებმა ნათლად დაინახეს, თუ როგორ განვითარდა და ჩამოყალიბდა მათი გემოვნება და გამომსახველობითი ფორმა, ფერი, კოლორიტი, ფერწერის ტექნიკა, ფანტაზიის უნარი.

ჟანრობრივი მრავალფეროვნება, ნატურმორტი და პეიზაჟი, პორტრეტი, ზეთით შესრულებული განსხვავებული ფორმატით წარმოდგენილი ნახატები, გრაფიკული ნამუშევრები მთლიანობაში ქმნიდა ერთ დიდ ფერთა ჰარმონიას... დამთვალიერებლის ყურადღება მიიქცია ბავშვების მიერ შესრულებულმა კლასიკოსი მხატვრების სახელგანთქმული ტილოების მიხედვით შექმნილმა ნამუშევრებმა... კერძოდ კი, აქ იყო წარმოდგენილი ვან გოგის ავტო-პორტრეტის /ანა ბერიანიძე/ სიურეალისტური ნამუშევარი, ძალიან საინტერესო იყო გრაფიკული ნამუშევარი "თვალი" /გიგი ახლოური/ და აგრეთვე, ყველაზე პატარა მხატვრის, 9 წლის ქეთი კოპაძის პეიზაჟები. მოწონება დაიმსახურეს გვანცა ხიზაძის, გიორგი მიგრიაულის და საერთოდ, ყველას მიერ წარმოდგენილმა ნამუშევრებმა. გამოფენის გახსნას სტუმრობდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელმაც ინტერესით დაათვალიერა ნახატები,



სათითაოდ გაესაუბრა ყველა ბავშვს და ბოლოს მათთან ერთად სამახსოვრო ფოტოც გადაიღო. ბავშვთა შემოქმედება დადებითად შეაფასა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ. გამოფენა მაისის ბოლომდე გაგრძელდა.

**კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.**

# პაატას ქუჩის რეაბილიტაცია

ქალაქ კასპში კიდევ ერთი ქუჩის მოასფალტება-რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო. პაატას ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოებს შპს "ბლექ სი გრუპი" ახორციელებს, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება. სამუშაოების ღირებულება 923 232 ლარია. გზაზე მოეწყობა საფეხმავლოები, ბეტონის ბორდიურები, სანაგვე ურნის ჯიბეები, ეზოში შესასვლელები, რკინა-ბეტონის დახურული კიუეტები და დაიგება ასფალტი.

# "ფრთიანი ფრაზები"-ს კვალდაკვალ

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

*გამოგვიგზავნეთ საინტერესო და სახალისო ფოტოები!*

*,,ახალი განთიადი,, ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტომატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვით თქვენი ძველი ჩვენს მატიანეში!*

# ისტორიული პარადიგმები და ქართული ეთნოფსიქიკის რამდენიმე ნიშანი

საკუთარ ნიადაგთან მიჯაჭვულობა, ისევე, როგორც მრავალი ერის შვილებისათვის, ქართველთათვისაც მტკივნეულად ორგანული და მუდმივად თანამდევი თვისებაა. ებრაელთა და ბერძენთა მსგავსად, ქართველსაც "ბებერ ერს" უწოდებენ. ათასწლეულებგამოვლილმა გენეტიკურმა მეხსიერებამ, ნიადაგსა და ადამიანს შორის, აუხსნელი, თითქმის ტრაგიკული მგრძნობელობით აღბეჭდილი კავშირი ჩამოაყალიბა. იმ ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ერი ატარებდა, სწორედ ამ ადგილთან, ამ საცხოვრისთანაა შერწყმული; ამიტომ წარსული — წინაპრები — მიწა ერთიან, სათაყვანო სუბსტანციად შეიკრა.

ადგილი, სადაც დღეს ქართველები სახლობენ, ქრისტემდე მრავალი საუკუნით ადრე ყოფილა პროტოქართული ტომების სამშობლო. ამ ოდინდელი კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში, ხან ერთი ქართული ტომი მძლავრობდა და დაწინაურდებოდა, ხან — მეორე. იმ ტომების სახელები (ისინი დღესაც შემორჩენილია სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ ქართველთა წარმომავლობისა და ტოპონიმების აღსანიშნავად), რომლებიც ასურეთის მახლობლად ცხოვრობდნენ, უძველეს ასურულ წყაროებშია შენახული. ხოლო ზოგიერთი ტომისა, უფრო კი მათი, ვინც შავი ზღვის ნაპირას სახლობდნენ, ბერძნულ წყაროებსა და მითოსში გვხვდება. მრავალი ცნობა აღმოჩნდა მოსეს ხუთწიგნეულშიც.

ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე კლასობრივ გაერთიანებებზე დაყრდნობილი ადრეული სახელმწიფო წარმონაქმნები— დიაუხი და კოლხა ჯერ კიდევ მითოსური საბერძნეთის დროს შესაშური კულტურული სიბრძნის მატარებელ ადამიანთა სამშობლო ყოფილა. სწორედ ოქროს საწმისის ჯადოსნური ძალისა და ინიციაციური ცოდნების დასაუფლებლად ჩამოვიდნენ აქ ინტელექტუალი ბერძნები. კოლხები ანუ კასკაია, ასურულ ლურსმულ წარწერებშიც იხსენიება და ბერძნულ წყაროებშიც.

უფრო აღმოსავლეთით მცხოვრები, ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომი — მესხები, იგივე "მუსკები", საკმაოდ მძლავრი, საბრძოლო ხელოვნებაში ერთობ გაწაფული და გულადი ხალხი ყოფილა. ალბათ, ძალზე ძლიერნიც, რადგან წარმატებულ დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. სწორედ ისინი არიან ყველაზე უწინ მოხსენიებულნი ძვ. წელთაღრიცხვის 1100 წლით დათარიღებულ ასურულ წარწერაში, სადაც ტიგლატ - პილესარ I გვიამბობს, რომ მისი ხელმწიფობის ჟამს "ძლიერებით მოქადული 20000 მუსკი და მათი ხუთი მეფე, რომელნიც ბრძოლის ველზე ჯერ ვერცერთ მეფეს ვერ დაემარცხებინა, კუმუხში ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრესო." ეს მესხები, იგივე მასხები, მოსეს I წიგნში მეშეხად არიან წოდებულნი. მათს უშუალო შთამომავლებს დღესაც მესხები ჰქვიათ და, შემორჩენილია კუთხის აღმნიშვნელი ტოპონიმიც — მესხეთი. ეს ტომები მრავალ მეცნიერს ქართველთა და აფხაზთა საერთო წინაპრებად მიაჩნია. აფხაზთა ძველი სახელწოდება აბასხი სწორედ მასხის ასიმილირებული ვარიანტია, რადგან აფხაზურში "ა" მხოლოდღა წინსართია. სხვა ქართული ტომის ტაბალის (იგივე ტუბალი ან თობალი) შესახებ, ასურეთის უძლიერესი მეფის სალმანასარ II (860-825) წარწერაშია ნათქვამი: "ქორონიკონსა მეფობისა ჩვენისასა ოცდამეორესა, მეოცდაერთჯერ ევფრატი გადავიარე და ჩავედი ტაბალად. ტაბალის ოცდაოთხი მეფისაგან საჩუქრები მივიღე". ასურულ წყაროებში ტაბალები და მუსკები ხშირად ერთად არიან მოხსენიებულნი. ასევე ერთად, როგორც ივანე ჯავახიშვილი ამბობს, "ტყუპად" სახელდებიან შესაქმეს წიგნებში.

ჰეროდოტეს "ისტორიაშიც" ჩანს, რომ მესხები და ტიბარელნი მეზობლები ყოფილან. იოსებ ფლავიუსის ცნობით, სწორედ ტაბალიდან წამოვიდა სიტყვა ტიბერი, შემდგომში "ჰიბერი" და იბერიაც — საქართველოს მეორე ძველი სახელი.



ასევე ბერძნულ წყაროებში იხსენიებიან მაკრონები, ანუ მეგრელ-ჭანები. ევსტათი თესლონიკელი ამბობს, რომ ჩვენ მათ ახლა სანნებს, ანუ, მდაბიურად, ტძანებს ვეძახითო. სწორედ "ტძანიდან" მოდის სამეგრელოს შესატყვისი უძველესი ტოპონიმი "ჭანეთი".

ბიბლიის მრავალი მკვლევარის აზრით, შესაქმეში შენახულია ცნობები და პატარ-პატარა თქმულებები სხვადასხვა ტომების, მათ შორის, რამდენიმე ქართული ტომის შესახებ. ისინი თვლიან, რომ ტაბალები, იგივე იბერები ანუ ქართველები, ბიბლიური ტუბალ-კაენის (შესაქმეში მოცემული ერთი შტოს მიხედვით), ან ნოეს შვილიშვილის, იაფეტის ვაჟის — ტუბალის (მეორე შტოს მიხედვით) შთამომავლებად უნდა მივიჩნიოთ. ტაბალის ქვეყანა ახლანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ზემოხსენებული სალმანასარის ტექსტის მიხედვით, მას 25 ტაბალელი მეფე აძლევდა ხარკს. ბიბლიის — დაბადების I წიგნისა და ასურულ წყაროთა მოწმობით, ტაბალს და მუსკს (თუბალსა და მეშეხს) ორი ძლიერი, ფართოდ დასახლებული ერის სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. ეზეკიელ წინასწარმეტყველის დროს, ისინი დიდი კერპების გოგისა და მაგოგის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ.

უდიდესი მიწა-წყალი, რომელიც ძვ. წ. XI-VII საუკუნეებში ქართველ ტომებს ეჭირათ, თანდათანობით შემცირდა მცირე აზიაში კიმერიელთა და სხვა ინდოგერმანული ტომების შემოსევის შემდეგ. ქსენოფონტეს მიხედვით ქართულ ტომებს იძულებით ჩრდილოეთისკენ გადაუწევიათ და შავი ზღვის სამხრეთი და ძველი ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი მოუცავთ.

უძველესი ტოპონიმი — კარდუ, იგივე ქართუ, საფუძვლად დაედო ერთიანი ეთნოსის აღმნიშვნელ სიტყვას — ქართუ - ელს, ანუ ქართველს და შემდგომში ქვეყნის სახელს — ქართლსა და სა - ქართუ - ელ-ოს. შუა ბრინჯაოს ხანიდან (IIIათასწ. დასარ. და II ათასწლეულის I ნახევარი) უძველესი ქართული ფუძეენა უკვე დაშლილი უნდა ყოფილიყო (სვანურ, მეგრულ-ჭანურ, ქართულ და აფხაზურ ენებად). ქართული ტომების გაერთიანება და ქართულის ისევ სახელმწიფო ენად გავრცელება "ქართლის ცხოვრების" ცნობით ძვ. წ. IV საუკუნეში მხოლოდ დიდ მეფე ფარნავაზმა შეძლო ("ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა.") ამ დროიდან ვიდრე ქრისტიანობის სახელწიფო რელიგიად გამოცხადებამდე (ჩვ. წ. IVს.) ქართული ენა მკვიდრდებოდა და მძლავრდებოდა. ეს ენა და დამწერლობა, რომელიც ერთ-ერთია მსოფლიოში არსებულ 14 ორიგინალურ დამწერლობას შორის, იქცა ქრისტიანული საქართველოს ენად. სახარების მიხედვით ხომ სულიწმინდის გარდამოსვლის შემდეგ მარიამ ღვთისმშობელი სწორედ ქართულად ამეტყველდა. ქართველები თავიანთ მიწას წმიდა ქალწულის წილხვედრად თვლიან.

მიწის სიწმინდესთან მიმართებაში შეიძლება კიდევ ერთი ისტორიული პარადიგმა მოვიხმოთ: მეცნიერთა საგულისხმო მოსაზრებები არსებობს ბიბლიური ურ - კაშდიმის თაობაზე, სადაც მამამთავარი ანუ პატრიარქი აბრაამი ცხოვრობდა. ბევრ მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ეს იყო ადგილი, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა; ე.ი. "ურ" ურარტუს ნიშნავს, კაშდიმ კი, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ასიმილაციის შედეგად მიღებულ ქართივ-ს ("ივ" მრავლობითის ნიშანია) — ქართველი ტომების სამოსახლოს. თუ ეს მოსაზრებები სწორია, მაშინ, გამოდის რომ წმინდა აბრაამის საცხოვრისი სწორედ ურარტუს ქართების ტერიტორია ყოფილა. იქნებ, ზემომოყვანილი და კიდევ მრავალი მიზეზი განაპირობებს ქართველების საკრალურ დამოკიდებულებას საკუთარი მიწისა და წარსულისადმი. თვით ქართული მიწა ხომ წმინდა ნივთიერებასთან არის გაიგივებული. უცხოეთში ნებით თუ იძულებით გადახვეწილ ქართველებს მუდამ თან დაჰქონდათ საქართველოდან წაღებული, პატარა ტომსიკაში გამოკრული მიწა და თუ უკან ვერ დაბრუნდებოდნენ, შთამომავლებს უბარებდნენ, რომ გარდაცვალების შემდეგ გულზე "სამშობლო" მოებნიათ. არსებობს ერთი, ამ კუთხით ნიშანდობლივი ქართული ზღაპარი "მიწა თავისას მოითხოვს", რომლის მთავარი გმირი, ჯერაც უწვერთნელი ჭაბუკი ისეთი ქვეყნის საძებნელად მიეშურება, სადაც სიკვდილი არ არის. სხვა განზომილებაში, დროისა და სივრცის გარეთ გაჭრილი პერსონაჟი ბედნიერებას პოულობს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ შეიშნოვებს მუდმივი განცხრომისა და სინორჩის მდგომარეობას, ბრუნდება საკუთარ მიწაზე, რათა იქ ერთბაშად დაბერდეს და მიიცვალოს. ასეთ მისტიკურ დამოკიდებულებას, ალბათ, მიწასთან ნივთიერი კავშირიც განაპირობებს. საგულისხმოა, რომ ათასწლეულების განმავლობაში ქართველ ტომთა უმეტესობა მიწის დამამუშავებელნი იყვნენ. ამან განაპირობა ქვეყნის ძველი სახელწოდებაც — გეორგია. ეს ბერძნულენოვანი ტოპონიმი სწორედ მიწის აღმნიშვნელი სიტყვის გამომხატველია.



წარსულისა და მიწის გარდა, ქართული ეთნოფსიქიკისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ფეტიში წინაპრები და მათი ხსოვნაა. XXI საუკუნეშიც კი ეს დამოკიდებულება ლამის პატრიარქალურია. ჩანს ეს უძველესი, გენეტიკურად განმტკიცებული თვისებაა, რადგან ჯერ კიდევ წარმართობის ჟამს ქართველები წინაპრებს აკერპებდნენ. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ქართლის გამაერთიანებელი მეფე ფარნავაზი სწორედ წარმართული პანთეონის მრისხანე ღვთაების — არმაზის წინასახეა, ღვთაებისა, რომელსაც ყველაზე მეტად ეთაყვანებოდნენ ქართველები. ამგვარი მითოსური დამოკიდებულების ჩანაცვლება

*დასასრული გვ7.

# მომავალი თაობა - - ჯანმრთელი საზოგადოება

ყოველწლიურად პირველ ივნისს საზეიმოდ აღინიშნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ამ დღესთან დაკავშირებით საგანგებოდ ემზადებიან მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები. პატარების მონაწილეობით ეწყობა საკონცერტო გამოსვლები, სადაც ბავშვებთან ერთად დაუვიწყარ დღეს ატარებენ აღმზრდელები, მშობლები. ამ დღეს შეუდარებლები არიან დამამთავრებელი ჯგუფების აღსაზრდელები...

– 2016 წლის სექტემბერში, ესე იგი ახალ სასწავლო წელს 440 ბავშვი შეაღებს სკოლის კარს, მინდა ყველა მათგანს მივულოცო ეს ბედნიერი დასაწყისი, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, — და მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ჩვენი სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ნამდვილი სიურპრიზი ელით, ვინაიდან ბავშვებმა ბაღებში წარმატებით გაიარეს საგანმანათლებლო პროგრამა, იმედია, რომ ისინი ასახელებენ თავიაანთ აღმზრდელ-მასწავლებლებს.

კასპის მუნიციპალიტეტში დღეის მდგომარეობით 26 საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ამდენად, მომავალ თაობაზე ზრუნვა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის უპირველესი პრიორიტეტია. რასაკვირველია, სწორედ ამიტომ, საბავშვო ბაგა-ბაღებში აქტიურად და თანმიმდევრულად ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც ითვალისწინებს აუცილებელ, გადაუდებელ სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს...

ქალაქის ყველა და ბევრი სოფლის საბავშვო ბაღში უკვე გამოიცვალა შენობის სახურავი, შეიცვალა და მოწესრიგდა საკანალიზაციო სისტემა, განახლდა და კეთილმოეწყო აღსაზრდელთა ჯგუფების ოთახები. წლის დასაწყისში სოფელ დოესის საბავშვო ბაღში 35 აღსაზრდელზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დამატებითი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით. ამჟამად ქალაქის პირველ ბაღში /გამგე მზია ჭალიაშვილი/ ინტენსიურად მიმდინარეობს სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები და ამის გამო ბავშვებს, რა თქმა უნდა, დროებით მოუწევთ სიარული მეოთხე ბაღში /გამგე დალი კოტეტიშვილი/, ხოლო თანამშრომლები მორიგეობით ჩაერთვებიან საალმზრდელო პროცესში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გაერთიანების მუშაობაში აქტიურად არის ჩართული საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია /თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი/, რომლის უშუალო ინიციატივითა და ორგანიზებით ბაღებში ეწყობა მაღალი დონის ტრენინგები, მასში მონაწილეობას იღებენ აღმზრდელები და მათი თანაშემწეები, ბაღის მზარეულები, მედდები და ტრენინგების გავლის შემდეგ მათ გადაეცემათ შესაბამისი სერთიფიკატები. გარდა ამისა, პროფკავშირის დახმარებით და ხელშეწყობით საბავშვო ბაღების აღმზრდელმასწავლებლებისათვის პერიოდულად ეწყობა ექსკურსიები, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.

დასამახსოვრებელი, მეტიც, დაუვიწყარი კულტურული ღონისძიება გამართა ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა ვაჟა დურგლიშვილმა, დიახ, კომპოზიტორმა ამჯერად, ქალაქის მეხუთე საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს და მათ მშობლებს, მასწავლებლებს წარუდგინა ძალიან საინტერესო, გასართობი მუსიკალური პროგრამა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ყველაზე მთავარი და უმნიშვნელოვანესია ის, რომ აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ბაღების გამგეებთან, მათთან სისტემატურად ტარდება სამუშაო შეხვედრები და თათბირები, სადაც განიხილება პრობლემატური საკითხები, შეიძლება ითქვას, ოპერატიულად, ორგანიზებულად ხდება მათი მოგვარება. სამუშაო შეხვედრებზე ჯეროვანი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების მშობლების ჩართულობას პატარების სასწავლო და საალმზრდელო პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბაღების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფისა და ბავშვთა კვების საკითხს. წლის დასაწყისიდანვე ბავშვთა კვების მენიუ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა. მათ მენიუს დაემატა რძის ნაწარმი, როგორიც არის მაგალითად, არაჟანი, აგრეთვე, პატარებისათვის საყვარელი სასუსნავი გემრიელი ფუნთუშა, ბანანი, ქიშმიში და სხვა ტკბილეული. ერთი სიტყვით, ერთ აღსაზრდელზე თვეში დადგენილ ათლარიან პაკეტს კიდევ დაემატა და გახდა 15 ლარი.

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების აპარატის თანამშრომლებისათვის ეწყობა გადამზადება, მაგალითად, მათ მონაწილეობა მიიღეს ფინანსთა სამინისტროში სახელმწიფო ხაზინის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოშიც.

**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.**



მეტეხი

საუკუნოვან მეტეხის საბავშვო ბაგა-ბაღის /გამგე ნინო პატარქალაშვილი/ კედლებში უამრავი თაობა აღიზარდა და მისი აღმზრდელ-მასწავლებლები ათეული წლების განმავლობაში დაუზოგავად ილვწოდნენ მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებისათვის... ესტაფეტა გრძელდება, ბაღის მთელი კოლექტივი განწყობილია დადებითად, ჯგუფები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, დღითიდღე იხვეწება საალმზრდელო პროცესი, რომელიც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ბაღს დაემატა მეთოდისტი, ფსიქოლოგი, ექთანი, რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა საალმზრდელო პროცესი. ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, შეიცვალა ბაღის სახურავი, გარემონტდა და კეთილმოეწყო სამზარეულო, სრულყოფილი გახდა ბავშვთა კვება, შეიქმნა ეკოლოგიურად სუფთა გარემო. სწორედ იმან განაპირობა ის გარემოება, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ბავშვთა კონტინგენტი.

ბაღის მთელი კოლექტივი, აღსაზრდელები და მათი მშობლები უდიდეს მადლიერებასა და კმაყოფილებას გამოთქვამენ მუნიციპალიტეტის გამგებლისა და გაერთიანების ხელმძღვანელობის მიმართ დახმარებისა და მუდმივი ზრუნვისათვის.

ზემო ხანდაკი:

მშობლების, ოჯახისა და ახლობლების სიხარულს საზღვარი არ აქვს, როდესაც ბაღში მისულ მათ პატარას სასიამოვნო და მშვიდი, საიმედო გარემო ხვდება... სწორედ ეს განცდა დაგეუფლებათ ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღში /გამგე თამარ დეკანოზიშვილი/ მისვლისას. აღმზრდელ-მასწავლებლები ენერგიას არ იშურებენ, რომ ბავშვებს კარგი პირობები ჰქონდეთ: სანიმუშოდ მოწყობილი დარბაზი და გაწკრიალებული, ლამაზად მოხატული კედლები, მწვანეში ჩაფლული, ყვავილნარით დამშვენებული ეზო-მიდამო ერთნაირად ხიბლავს და იზიდავს დიდსა თუ პატარას.

ბაღში მოსვლა არ ეზარებათ მშობლებსაც, მეტიც, ბევრი მათგანი აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესისა და დღის რეჟიმის მსვლელობაში. მაგრამ იმას, რასაც მუნიციპალიტეტის გამგებელი, გოჩა გოჩიტაშვილი, მისი მოადგილეები ჯამბოლატ ქამხაძე, თეიმურაზ ხიზანაშვილი და გაერთიანების დირექცია ერთდროულად ახორციელებენ ბაღის დასახმარებლად, ვერავინ წარმოიდგენდა. სწორედ მათი უშუალო ხელმძღვანელობით და ხელშეწყობით უმაღლეს დონეზე, თანამედროვე სტანდარტებით გარემონტდა და კეთილმოეწყო სამზარეულო, საკუჭნაო, დარბაზი, მთლიანად შეიცვალა კარფანჯარა, განახლდა საჭირო ინვენტარი, გარემონტდა წყალმომარაგების შიდა გაყვანილობა, დაიდგა წყლის ახალი ავზი და ახალი ელექტრომრიცხველი, სხვათა შორის, ბაღი ამჟამად უზრუნველყოფილია ცხელი წყლითაც...

სოფლის დეპუტატმა ი. ქამხაძემ და ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა ლ. მარღიშვილმა სასმელი წყლის დეფიციტის მიუხედავად, შეძლეს ბაღის უწყვეტი მომარაგება.

ზემოხანდაკელი აღსაზრდელები საზაფხულო არდადეგებისათვის ემზადებიან. მანამდე კი, დიდი ზეიმის გამართვას გეგმავენ, საზეიმო კონცერტზე მოწვეული სტუმრების თანდასწრებით ბავშვები და მათი მშობლები, მასწავლებლები საჯაროდ გადაუხდიან მადლობას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

ფერმა

სოფელ ფერმის მოსახლეობა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელები მათი მშობლები მადლობას უხდიან მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს, განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელს თეა ხორბალაძეს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს მანანა ხვთისიაშვილს იმისათვის, რომ ბაღში შექმნილია სანიმუშო გარემო. ხალისით დადიან ბავშვები ბაღში, ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბავშვთა კვების რაციონი, ისიც უნდა ითქვას, რომ აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს უფრო და უფრო უადვილდებათ ინტეგრირება ქართველ მოსახლეობასთან. დიახ, შესამჩნევია ის ფაქტი, რომ უწინდელთან შედარებით სკოლაში მისულ აზერბაიჯანელ ბავშვებს აღარ აქვთ ენის ბარიერი.

# ისტორიული პარადიგმები და ქართული ეთნოფსიქიკის რამდენიმე ნიშანი

*დასასრული. დასაწყისი იხ. გვ.5.

ქრისტიანულ მენტალიტეტში წმინდანთა თაყვანისცემით მოხდა. ქრისტიანული და ეროვნული ღვაწლისაკენ მიმართული ხასიათი მრავალ წმიდანს ალიარებს. მაგალითად, "ოქროს ხანის" საქართველოს მეფეთ-მეფე თამარი ისეთი ბრწყინვალე შარავანდედითაა მოცული ჩვენს ცნობიერებაში, რომ ლამის რეალური პიროვნება აღარ გვგონია. იგივე შეიძლება ითქვას, დავით აღმაშენებელსა და შოთა რუსთაველზე... თუმცა, არაწმინდანი წინაპრების, ხალხური გმირების გაფეტიშების მაგალითებიც არსებობს. ეს უფრო მთიან მხარეებშია შემორჩენილი. მაგალითად, ფშავში არსებობს სალოცავი, რომელსაც ლაშარის წმინდა გიორგის, იგივე ლაშარის ჯვარს ეძახიან. ფშავლებს გამორჩეულად ჰყვარებიათ ახალგაზრდა, თავისუფლად მოაზროვნე, ტრაგიკული ბედის, ლამის ჭაბუკობაში გარდაცვლილი მეფე ლაშა-გიორგი, ძე მეფედ მეფისა თამარისი, რომელმაც XII საუკუნის დიდი და ძლიერი საქართველო ჩაიბარა. ამიტომ ამ ქრისტიანულ სალოცავში უცნაურადაა შერწყმული წმინდა გიორგისა და არაწმიდანი მეფის სათაყვანო და საყვარელი სახეები და ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ იკვრება ქართულ ეთნოფსიქიკაში ღრმად გამჯდარი ტრიადა: წარსული – მიწა – წინაპრები.

**მარინა ყიფშიძე.**

მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, საავტორო ქრონიკები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

# "ჩემი ნაფიქრი მინდა გადაგდო"



საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით 2016 წლის 16 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით ქვეყნის მასშტაბით ყველა მოქმედ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ბიბლიოთეკების კვირეული დევიზით: "საინფორმაციო ტექნოლოგიები – ჩემი ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია". ტრადიციულად კვირეულის ფარგლებში საქართველოს ბიბლიოთეკებში გაიმართა საჯარო ღონისძიებები, მოეწყო მხატვრული თუ ფოტო გამოფენები, ჩატარდა ლიტერატურული საღამოები და წიგნების პრეზენტაციები, აგრეთვე, შეხვედრები მწერლებთან და პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, გაიმართა საქველმოქმედო აქციები, კონკურსები, სემინარები, ლიტერატურული შეხვედრები... აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კვირეულის ფარგლებში გამართულმა კულტურულმა ღონისძიებებმა და განხორციელებულმა ინოვაციურმა პროექტებმა ხელი შეუწყო მკითხველთა და ბიბლიოთეკების კიდევ უფრო დაახლოებას. ამის შესანიშნავი მაგალითი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების ორგანიზებით მოწყობილი ღონისძიება, რომელიც ჩატარდა კასპის საქალაქო ბიბლიოთეკის (მენეჯერი მაია აბუაშვილი) დარბაზში... ეს ერთგვარი სალონური შეხვედრა სახელწოდებით – "ჩემი ჩანაფიქრი მინდა გადაგდო," პროზისა და პოეზიის, ლიტერატურისადმი უდიდეს "თაყვანისცემად" გადაიქცა. საქმე ის გახლავთ, რომ კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ-ების თანამშრომლებმა საკუთარი, ჯერ კიდევ "მზეუნახავი" ნაწერები დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს. გამომსვლელთა შორის იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტი ლია ნიპარიშვილი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი, ამავე გაერთიანების სპეციალისტი ვალიდა უზნაძე, ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტები ლია მენაბდიშვილი, ლია სოზიაშვილი, დიანა ხორბალაძე, რომლებმაც შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს საკუთარი ლექსები და ჩანახატები, თხზულებები... პოეტ ლადო ასათიანის ლექსების კითხვით თავი მოიწონა დამსწრეთა წინაშე მარინა შალუტაშვილმა.

– ტრადიციული საბიბლიოთეკო კვირეულის აღნიშვნის აქტუალობა და მნიშვნელობა ახლაც თვალნათლივ დადასტურდა, – განაცხადა შეხვედრაზე სიტყვით გამოსვლისას კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა, – უფრო მეტიც, კვირეულის დღეებში განხორციელებული ინოვაციური პროექტები და კულტურული ღონისძიებები, საზეიმო შეხვედრები იყო ჩვენი მუშაობის ერთგვარი შეჯამება, ბიბლიოთეკებს შორის გამოცდილების გაზიარება, საერთო პრობლემების გადაჭრის გზების ძიება და ურთიერთგამოცდილების გაზიარება, სამომავლო გეგმების დასახვა.

ღონისძიებას სტუმრობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, საკრებულოს კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ალექსანდრე გზირიშვილი და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე.

შეხვედრა საესტრადო სიმღერებით კიდევ უფრო გაახალისა ქალთა ტრიომ (იზაბელა კობიაშვილი, ლია სოზიაშვილი და ლია მენაბდიშვილი), რომელმაც მთელი დარბაზი აიყოლია და ეს მუსიკალური ჰანგები დიდხანს ჟღერდა. ღონისძიება ტექნიკურად გააფორმა კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტმა გიგა ხორგუაშვილმა.

**კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.**

# ფესტივალი ,,გაზაფხულის რიტმები,,

საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირის ინიციატივითა და ორგანიზებით აპრილის ბოლოს თბილისში ჩატარდა ქორეოგრაფიული ფესტივალი სახელწოდებით "გაზაფხულის რიტმები". ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქორეოგრაფიული ანსამბლები. აღსანიშნავია, რომ ამ პრესტიჟულ ფესტივალზე ჩვენი რაიონის ღირსებას იცავდნენ ქორეოგრაფიულ ანსამბლ "მეტეხის" მოცეკვავეები.

– ჩვენს ანსამბლს არსებობის 30 წელი შეუსრულდა, ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ სხვადასხვა კულტურულ თუ სამთავრობო ღონისძიებებში, – აცხადებს "მეტეხის" სამხატვრო ხელმძღვანელი ცისანა დარჩიაშვილი, – ამჯერად კი, ჩვენი გამოსვლა ფესტივალზე ნამდვილად წარმატებული აღმოჩნდა, ჩვენმა ცეკვებმა ("მთიულური" და "აჭარული") დიდი მოწონება დაიმსახურეს. ეს იყო ანსამბლის წევრების, მათი მშობლებისა და მხარდამჭერების აღიარება.

საფესტივალო შთაბეჭდილებებსა და ემოციებზე საუბრობენ ანსამბლ "მეტეხის" სოლისტები: მარიამ ზოზრაშვილი, სოფია ჯანიაშვილი, მარიამ გუგულაშვილი, ნინო ჯანიაშვილი, ნანა ლელაშვილი, გიორგი აზმაიფარაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ლიკა მამულაშვილი, რიტა ფირიევი, ნათია ბოგველი. თავად ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ცისანა დარჩიაშვილი წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდა "საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით".

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.**

# ტრენინგების თემა: თვითშეფასება, სამუშაო გეგმის შედგენა...



აპრილ-მაისის თვეში კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებსა და საჯარო სკოლებში შინაარსიანად ჩაიარა... საქმე ის გახლავთ, რომ როგორც ადრე ვიუწყებოდით, საბავშვო ბაღების გამგეების, მეთოდისტების, ფსიქოლოგებისა და აღმზრდელებისათვის საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონულმა საბჭომ ჩაატარა ტრენინგი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებზე, სამუშაო დღის დაგეგმვაზე, ამ სფეროში დასაქმებულთა ფუნქციებსა და მოვალეობებზე.

9 და 14 აპრილს კი, ანალოგიური ტრენინგი ჩატარდა აღმზრდელთა თანაშემწეებთან და ძიძა-სანიტრებთან. ერთი სიტყვით, ტრენინგი გაიარა მუნიციპალიტეტის ამ სფეროში დასაქმებულმა 65-მა თანამშრომელმა და ტრენინგის ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი... სამუშაო პროცესი თითო ჯგუფში გაგრძელდა 5-5 საათს ძალიან საინტერესო და ნაყოფიერ ვითარებაში. ტრენინგი ჩაატარა სპმთპ – ს საგანმანათლებლო ცენტრის ტრენერმა ქალბატონმა ლეილა გორგაძემ.

7 მაისს კი, ჩატარდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის ტრენინგი თემაზე: თვითშეფასება და სამოქმედო გეგმის შედგენა. ტრენინგს ესწრებოდა 9 საჯარო სკოლის 26 პედაგოგი, რომლებმაც დიდი კმაყოფილება გამოხატეს სპმთპ-ს საგანმანათლებლო ცენტრის და უშუალოდ ტრენერის, ამ ცენტრის ხელმძღვანელის ქალბატონ მარიამ მკალავიშვილის მიმართ.

ტრენინგების ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაცია.

საკ.ინფ.

# ბერძენიშვილმა ევროპა მოინადირა

კასპელი გამოცდილი მოჭიდავეები – ბექა ბერძენიშვილი, ზვიად ოდოშაშვილი და კახა მამულაშვილი ჩვეულ სპორტულ ფორმას ინარჩუნებენ და კვლავინდებურად მონაწილეობენ საგარეო მაღალი დონის შეჯიბრებებში. მაგალითად, აპრილში, კახამ ქ. რიაზანის (რუსეთი) საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზიორობა მოიპოვა, ბექამ კი ქ. მოსკოვის (რუსეთი) ტურნირი მოიგო და ესეც არ იკმარა.



შუა მაისში, საქართველოს ნაკრების სახელით, სამივემ იასპარეზა ქ. ყაზანში (რუსეთი, თათრეთი) ევროპის პირველობაზე ჭიდაობა სამბოში (უფროსთა შორის). ბექა ბერძენიშვილმა კონტინენტის მძიმეწონოსან მეტოქეებთან პაექრობაში ყველა ჩამოიცილა გზიდან და ჩემპიონის კვარცხლბეკზე შედგა. ჩვენებური ოქროსმედალოსანი ვაჟკაცის საპატივსაცემოდ ქართული დროშა ზეაწია და ჰიმნი აჟღერდა თათრეთის დედაქალაქის სპორტსასახლეში.

(პ. ს.: ოდოშაშვილი და მამულაშვილი ამჯერად პრიზიორებში ვერ მოხვდნენ).

# იოსებ მაღალაშვილის სახელობის ტურნირი



სოფელი მეტეხი მუნიციპალური ჭიდაობის წამყვან კერად ითვლებოდა და ასეთადაც რჩება საქართველოს მასშტაბითაც კი. 12 მაისს იქ გაიმართა "დიდი ჭიდაობა", რითაც, ფაქტიურად, ჩვენში ახალი საშეჯიბრო სეზონი გაიხსნა. ცხადია, ასპარეზობას, რომელიც ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი, პირველი ვიცეპრეზიდენტი ოთარ ყურაშვილი) ეგიდით გაიმართა, კონკრეტული ადრესატიც ჰყავდა საქართველოს სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამბისტის, იოსებ მაღალაშვილის სახით.

## ჯაბამ ევროპა დააჭაშნიკა

ჯაბა პაპინაშვილმა შარშან სერბეთში მოპოვებული ევროპული ვერცხლის მედალი წელს საფრანგეთში ოქროსაზე გადაცვალა: ქ. ტულუზაში სამბოელ ჭაბუკთა პირველობაზე იგი ჩემპიონი გახდა 52 კგ წონით კატეგორიაში. მან ეს მოახერხა ქართველთათვის ისტორიულად სიმბოლურ დღეს – 9 აპრილს. ოქრო საკუთარ თავსაც უძღვნა, ორიოდე კვირაში ხომ 18 წლისა შესრულდა. ვულოცავთ ევროპის ჩემპიონობასაც და სრულწლოვანებასაც!

## რობინზონიადა ორ ფრონტზე

შარშანდელი ევროპული ახალგაზრდული ოლიმპიადის ("თბილისი – 2015") გამარჯვებული რობინზონ ბეგლარაშვილი ამ გაზაფხულზე ორ ფრონტზე გარჯას განაგრძობს: სოფელ დოესის საჯარო სკოლის სრულ კურსსაც ამთავრებს და, ცხადია, ჭიდაობასაც ერთგულობს – ე. წ. "თავისუფალ დროს" თითქმის არ უტოვებს შეჯიბრებათა მჭიდრო კალენდარი.

რობინზონმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში წარმატებით იასპარეზა ქ. ათენში (საბერძნეთი) ჩატარებულ ძიუდოისტთა "ევროპულ ახალგაზრდულ თასზე" და ჩემპიონობა არავის დაანება (60 კილოგრამის წონითი კატეგორია).

## სალონიკური ოქრო ედისათვის

თავისუფალი სტილის ჭაბუკმა მოჭიდავემ, ედი ბუღულაშვილმა, პირადი ჯილდოების კოლექცია წლევანდელ შუა აპრილში წონადი ოქროთი შეავსო: ის საბერძნეთის ქ. სალონიკში გაჩემპიონდა საერთაშორისო ტურნირზე. წარმატებული გამოსვლა მაისშიც გააგრძელა: გაიმარჯვა ქ. ამბროლაურში "რაჭის თასის" ღია გათამაშებაში და მეორე იყო ქ. თბილისში გამართულ ნოდარ ბეკურიშვილის სახელობის ტურნირზე (85 კილოგრამში).

მაისის ბოლოს მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში ჩაერთვება – სომხეთის დედაქალაქ ერევანში დიდი საერთაშორისო ტურნირი იმართება.

## ჩვენი კალენდარი

მაისში დაიბადნენ: 5 – ზურაბ ფეიქრიშვილი (1961, ფეხბურთი), 19 – დავით გეჯაძე (1997, ჭიდაობა), 25 – ლადო ბეინაშვილი (1976, ფეხბურთი), 29 – ავთანდილ ჯალალი (1946, ფეხბურთი).

ივნისში დაიბადნენ: 12 – იოსებ მამულაშვილი (1981, ჭიდაობა), 17 – ამირან პაპინაშვილი (1988, ჭიდაობა), 22 – ნუგზარ მამულაშვილი (1956, ჭიდაობა), ზაზა ჯალალი (1981, ფეხბურთი)...

## „გენერალი" იბრძვის და...

ფუტსალის გუნდმა "გენერალმა" აპრილ-მაისში საპლეიოფო ორი მეოთხედფინალური მატჩი გამართა "ვივუსჯისთან". პირველ თამაშში მეტოქე 3:2-ზე დაამარცხა, მეორეში კი მარცხი იწვნია (2:5). მესამე, გადამწყვეტი ორთაბრძოლა შედგა 22 მაისს. "გენერალი" ნახევარფინალშია!

# მსოფლიო ჩემპიონები



აპრილის დასაწყისში პოლონეთში, ქალაქ ბიდგოშში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი კარატეში, სადაც 70 ქვეყნის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. აი, სწორედ ასეთ მასშტაბურ ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა კასპელმა კარატისტებმაც... კასპელმა სპორტსმენებმა /მწვრთნელი დავით დალაქიშვილი, სპორტსმენი გივი ფსუტური/ ამჯერადაც დიდი შრომის ფასად ასახელეს სრულიად საქართველო და რა თქმა უნდა, ჩვენი რაიონი. საკმაოდ რთული ორთაბრძოლების შედეგად მწვრთნელმა და მისმა მოსწავლემაც დაიკავეს საპრიზო /მესამე/ ადგილები. – დიდი მონდომება და ძალისხმევა გამოიჩინეს ჩვენმა კარატისტებმა წარმატების მისაღწევად, ეს ნამდვილად დასაფასებელია, – აცხადებს მწვრთნელი დავით დალაქიშვილი, – მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ გოჩა გოჩიტაშვილის კეთილი ნება და დახმარება რომ არა, ასეთი რეზულტატი არ გვექნებოდა, ულრმესი მადლობა ბატონ გამგებელს მხარში დგომისათვის და ვპირდებით, რომ არაერთხელ ვასახელებთ ჩვენს რაიონს.

მსოფლიო პრიზიორები მილოცვებს იღებენ და ახალი შემართებით ემზადებიან ასპარეზობისათვის.

# მაყურებელთა კერპი



სულ პატარა იყო ლევანი, სოფლის ნახერხმოყრილ საჭიდაო არენაზე რომ გამოჩნდა. ათიოდე წლის ბიჭუნა თამამი, გაბედული "საბრძოლო" ილეთებით აოცებდა მწვრთნელებს, აკვირვებდა მსაჯებს, იმედის თვალით უყურებდნენ მაყურებლები... მარტო ჭიდაობის მოტრფიალენი კი არა, უბრალოდ, მეზობლები და უბნელები, დიდ-პატარა საჭიდაოზე პატარა "ფალავანის" საყურებლად და "საბალეშიკოდ" მიდიოდნენ. ბავშვობაშივე მაყურებლის სიმპათიად "მონათლული" დოესელი ლევან უხურგუნაშვილი საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის სტუდენტი გახდა.

სტუდენტობამდეც ერთგულებდა საყვარელ სპორტს, თვალსაჩინო სპორტული მიღწევებიც ჰქონდა, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა, ინტენსიურად, მთელი დატვირთვით ვარჯიშობდა საქართველოს სამბისტთა ნაკრებში, კარგი სახელიც მოიხვეჭა... 1996 წლის მაისში საფრანგეთში გამართულ ჩემპიონატზე ლევანმა დამაჯერებლად იასპარეზა, დაამარცხა ესპანეთის, რუსეთის, აზერბაიჯანისა და ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ტიტულოვანი სპორტსმენები... ერთი სიტყვით, უკვე ალიარებული მოჭიდავე ლევან უხურგუნაშვილი ერთნაირი წარმატებით გამოდიოდა როგორც ქართულ ჭიდაობაში, ასევე, სამბოსა და ძიუდოში.

– თანატოლ სპორტსმენთა შორის ლევან უხურგუნაშვილი ნამდვილად იყო მაყურებელთა კერპი, ძალიან უხაროდათ მისი გამოჩენა არენაზე, – იხსენებენ მისი მწვრთნელები ნუგზარ მამულაშვილი, ამირან გერმანოზაშვილი და გოჩა მამულაშვილი, – მას შეეძლო არენაზე, გადამწყვეტ მომენტშიც კი, მოეკრიბა ძალ-ღონე და მობილიზება, ჰქონდა კონცენტრაციის არაჩვეულებრივი უნარი და თან დახვეწილი ტექნიკა, რაც მთავარია, სრულყოფილად ფლობდა ქართული ჭიდაობის ბევრ ილეთს, განსაკუთრებით კი, გარე სარმასა და ბრუნს.

ორთაბრძოლებში ნაწრთობი სპორტსმენი ლევან უხურგუნაშვილი სანდო მწვრთნელადაც მოიაზრებოდა, იგი საკუთარ გამოცდილებას უზიარებდა დამწყებ მოჭიდავეებს, მხარში ედგა მათ, ყოველნაირად ეხმარებოდა ბიჭებს... იმ დროს, როდესაც ლევანი სპორტულ ზენიტში იმყოფებოდა, ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ჩემპიონატის დროს, მოულოდნელად მუხლის ტრავმა მიიღო და ამის გამო ნაადრევად მოუწია სარბიელის დატოვება, თუმცა, გულანთებულ სპორტსმენს დღემდე არ უთქვამს უარი ჯანსაღი ცხოვრების წესზე, დღესაც უდიდესი სულისკვეთებითა და შემართებით აგრძელებს ვარჯიშს და წვრთნას. მას სამაგალითო ოჯახიც აქვს, მისმა სამივე ვაჟმა შალვამ, დათამ და მამის სეხნიამ, ლევანმა მამისგან მიიღეს კურთხევა და ისინიც სპორტით, კერძოდ კი, ჭიდაობით არიან გატაცებული...

**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

შეხვედრები

# ანსამბლი „დიდგორი“ – ცეკვის აკადემია




სხვა დროსაც მოუხიბლავს, აღტაცებაში მოუყვანია მაყურებელი (საზღვარგარეთის ბევრი ქალაქის დიდ სცენაზეც) ქართული ფოლკლორით გაჯერებულ დავით ჯავრიშვილის სახელობის ბავშვთა სახალხო, სანიმუშო ქორეოგრაფიულ ანსამბლ "დიდგორს", მაგრამ იმას, რაც ამას წინათ, ჩვენი ქალაქის კულტურის ცენტრში გამართულ კონცერტზე მოხდა სულ სხვა შინაარსი, დატვირთვა და ხიბლი ჰქონდა... ამ ორსაათიან საკონცერტო გამოსვლას განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი სილაღე შესძინეს საღამოს წამყვანებმა: ცნობილმა თეატრალმა და ტელე-სახემ, ნიკა წულუკიძემ და ჩვენმა თანაქალაქელმა, "დიდგორის" ყოფილმა მოცეკვავემ, ჟურნალისტმა ნიკა ხაჩიძემ... მათ მიერ ანსამბლის მოცეკვავეებზე საინტერესოდ გაჟღერებული პატარა წიაღსვლის შემდეგ გამოცხადდა ცეკვა "სადარბაზო". მას მოჰყვა "ფრესკა", რომლის შესრულებამ დარბაზი აღაფრთოვანა, აღტაცება გამოიწვია "ოსურმა", დიახ, სოლისტების სალომე კაჭიურისა და თენგო ბერიანიძის სახელებს დიდხანს სკანდირებდა მაყურებელი...

— ანსამბლში ამჟამად უკვე სამი თაობა ცეკვავს, ყველას ოცნებაა გახდეს დიდგორელი, — აცხადებდნენ წამყვანები და მაყურებელს წარუდგინეს "დიდგორი-2" -ის მიერ დადგმული ცეკვები "აჭარული მოტივები" და "რაჭა ჩემი სიყვარულია", რომელიც მაყურებლის აპლოდისმენტების ფონზე შესრულდა. შემდეგ სცენა დაეთმო "დიდგორი — 3-ის" მოცეკვავეებს, დარბაზი ოვაციებითა და ტაშით შეხვდა "პაწაწინა" შემსრულებლებს, ყველა მოიხიბლა მათი საშემსრულებლო ტექნიკითა და სამსახიობო გამბედაობით, მოხიბლული მაყურებელი ტაშით ამხნევებდა პატარებს, იყო საერთო სიხარული, დადებითი მუხტი... "დიდგორი" სულ ახლის ძიებაშია, მათი რეპერტუარი უფრო და უფრო მდიდრდება და ნამდვილად საინტერესო სიურპრიზი იყო მაყურებლისათვის და არა მარტო მათთვის ცეკვების "ლაზური", "ჩეჩნური" — დებიუტი. "დიდგორი-2"-მა კი, "ქართლ-კახურის" განახლებული, უფრო დახვეწილი ვერსია შესთავაზა მაყურებელს, სადაც მოცეკვავეებმა განასახიერეს სხვადასხვა სიუჟეტები, მაგალითად, ყურძნის კრეფის, ხვნა-თესვის, გოგო-ბიჭების ლხინი და ჭიდაობის სცენა, ხოლო ცეკვის კულმინაცია გახლდათ "ცანგალა და გოგონა", რომლის როლებიც ოსტატურად მოირგეს პატარა მოცეკვავეებმა ნუცა მორბედაძემ და ნიკოლოზ ობგაიძემ.

შემოქმედებითი საღამოს მშვენება გახლდათ ცეკვები: "აფხაზთა როკვა," "მთიელთა კაფია" და ულამაზესი "მთიელთა შაირმე"... მაყურებლის წინაშე საესტრადო სიმღერით წარდგა პატარა თაკო ღონღაძე, შემდეგ "დიდგორს" ორი სიმღერა მიუძღვნა კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ხელმძღვანელმა მიხეილ ქოსაშვილმა, ანსამბლის მოცეკვავეებისადმი უდიდესი სიმპათია გამოთქვა მისალმებისას კასპელმა პედაგოგმა ნინო ბურდულმა.

საღამოს წამყვანმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა გოჩიტაშვილის სახელით მიღწეული წარმატებებისა და დამსახურებისათვის ანსამბლს საზეიმო ვითარებაში გადასცა "მადლობის სიგელი". შემდეგ სცენა დაეთმო "დიდგორის" ყოფილ მოცეკვავეს, ჟურნალისტსა და სარეკლამო სტუდიის პიარ-მენეჯერს ეთერ მონასელიძეს, რომელმაც გაიხსენა ანსამბლში გატარებული წლები და ბოლოს საღამოს ორივე წამყვანს ნიკა წულუკიძეს და ნიკა ხაჩიძეს "დიდგორის" სახელით საჩუქრად გადასცა სანოს სტუდიაში ჩაწერილი ლეგენდარული გურამ საღარაძის, საავტორო დისკი.







შემოქმედებითი საღამოს ნამდვილი სიურპრიზი გახლდათ "დიდგორის" პირველი თაობის მექართულეების თინათინ ახლოურისა და ლევან მესროფაშვილის სცენაზე გამოჩენა. სახელოვანმა წყვილმა 15 წლის შემდეგაც ჩვეული მომხიბვლელობითა და სიდარბაისლით, ამავე დროს, ემოციურად შეასრულა "ქართული დავლური" და დარბაზის მქუხარე ტაში დაიმსახურა. კიდევ უფრო დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო მათი გამოსვლაც, სოლისტების თქმით მათი თაობის მოცეკვავეებისათვის და არა მარტო მათთვის "დიდგორი" იყო სიყვარულისა და სიკეთის, მეგობრობისა და ერთგულების, ერთმანეთის გატანის ეტალონი.

შემოქმედებით საღამოს ესწრებოდა საქართველოს ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ზაზა მჟავანაძე, რომელიც აღფრთოვანებას ვერ ფარავდა და დარბაზის აპლოდისმენტების თანხლებით მან სცენაზე მოიხმო "დიდგორის" ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთავარი ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები: დარინა პაპაშვილი, სოსო ღვინიაშვილი და საქართველოს ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის სახელით ანსამბლს მიანიჭა "ცეკვის აკადემიის" სახელი. მანვე გააჟღერა ფრიად საინტერესო ინფორმაციაც იმის შესახებ, რომ ამ საპატიო ჯილდოს გარდა, ქალბატონი ქეთევან მონასელიძე საქართველოს ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ წარდგენილია ღირსების ორდენზე, ხოლო ახლა უკვე ცეკვის აკადემია "დიდგორი" აგვისტოში მიწვეულია ჩეხეთში ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე...



— ანსამბლ "დიდგორის" ყოველი გამოსვლა არის ქორეოგრაფიის ზეიმი, მას აქვს გამორჩეული ხელწერა და განუმეორებელი ხიბლი, — ერთხმად განაცხადეს ფოლკლორისა და ქორეოგრაფიის წამყვანმა სპეციალისტებმა, — უფრო მეტიც, შესანიშნავად შერჩეული, კარგად მორგებული მუსიკა ხომ დაუვიწყარს ხდის მათ, ხოლო მოცეკვავეთა შესამოსელი, ეს არის კოსტიუმების დახვეწილი და მრავალფეროვანი გამა.

შემოქმედებითი საღამოს ყველაზე დრამატული ნაწილი გახლდათ "დიდგორის" საფინალო ნომრად შექმნილი კომპოზიცია "ქართველების ერთად ყოფნა". ამ გამოსვლას ანსამბლი გოგი დოლიძის ცნობილი ჰიტის ფონზე ყველა კუთხის ცეკვით ამთლიანებს ქართული ქორეოგრაფიის დამაგვირგვინებელი ლეგენდარული "ქართული", რომელსაც ასრულებენ სოლისტები: ხატია ბუთხუზი და გივი კობაური. საღამო ლამაზი, საზეიმო ფეიერვერკით დასრულდა.





# სექტემბერში სკოლისაკენ

ახალ სასწავლო წელს კასპის №2 საბავშვო ბაღის 37 კურსდამთავრებული მიუჯდება სასკოლო მერხს... მანამდე კი, პატარა აღსაზრდელები გადიან ყველაზე საინტერესო ეტაპს, აღმზრდელ-მასწავლებლებისა და მშობლების, ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობითა და მუდმივი ზრუნვის შედეგად თანმიმდევრულად, სტანდარტების დაცვით ხორციელდება სკოლამდელი აღზრდის პროცესი.



— მოგეხსენებათ, სკოლისათვის მოსამზადებელი პერიოდი, განსაკუთრებით კი, დამამთავრებელი ჯგუფის ბავშვების სასწავლო პროცესი უაღრესად მნიშვნელოვანი, საინტერესო და ამავე დროს საპასუხისმგებლო ეტაპი გახლავთ, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, — ამიტომაც, სკოლამდელი აღზრდა, ნორმალური სწავლება, ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარება, ჩამოყალიბება დიდწილად განსაზღვრავს მოზარდის მომავალს. სრულფასოვანი კვება და შესანიშნავი გარემო, ნორმალური სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მთლიანობაში, თავს იჩენს აღსაზრდელების საბოლოო რეზულტატზე, რაც რასაკვირველია, ნათლად აისახა კიდეც მეორე საბავშვო ბაღის დამამთავრებელი ჯგუფის (აღმზრდელი, გამოსაშვები კონცერტის ორგანიზატორი ნანა მერებაშვილი) ბავშვების მონაწილეობით დადგმულ საზეიმო კონცერტზე... სხვათა შორის, ეს არ იყო მხოლოდ კონცერტი, სადაც გამოვიდნენ ბრჭყვიალა ტანსაცმელში გამოპრანჭული გოგო-ბიჭები და იმღერეს, იცეკვეს, ლექსები წაიკითხეს, არა, ამ თითქმის ორსაათიან გამოსვლაში ბავშვებმა წარმოაჩინეს ბაღში წლების განმავლობაში ნასწავლი მასალა, რომელიც გამოვლინდა მუსიკალურ თამაშებსა და თეატრალიზებულ წარმოდგენებში, ბავშვების მეტყველებასა თუ საზრიანობაში...

— მარტო საკონცერტო პროგრამის მომზადებით კი არ არიან ხოლმე დაკავებული ბავშვები და აღმზრდელ-მასწავლებლები, იმისათვის, რომ შესაფერისი ატმოსფერო და განწყობა შეიქმნას, საერთო სამზადისში ბაღის მთელი კოლექტივია ჩართული, — აცხადებს ბაღის გამგე თამარ ხოკრიშვილი, — დარბაზის მომზადებაში, სცენის მოწყობასა და დეკორაციების შექმნაში მასწავლებლებთან ერთად პატარებიც მონაწილეობენ.

ამდენად, საერთო განწყობა, დადებითი ენერგია, რომელიც იგრძნობა პატარების გარემოცვაში, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც ისინი თავს იწონებენ და პოზიორობენ "თავიაანთი შემოქმედებითა თუ ნახელავით", შეუმჩნეველი არ რჩება და მარტო მოწვეული სტუმრები და სპეციალისტები კი არა, თავად აღმზრდელებიც აფასებენ საკუთარ "ნაღვაწს"... არადა, მართლაც ბევრს შრომობენ პედაგოგ-მასწავლებლები: დამამთავრებელი ჯგუფის აღმზრდელი ნანა მერებაშვილი და მისი თანაშემწე გულნაზ კაციაშვილი, მეთოდისტი ეკა ქარჩავა, ფსიქოლოგი მარინა დალაქიშვილი, მუსიკის მასწავლებელი და საბავშვო სიმღერების ავტორი ნინო მერებაშვილი, აღმზრდელი და დეკორაციების ავტორი ირმა მილაძე. გამოსაშვები ჯგუფის ბავშვები სულ მალე დატოვებენ მშობლიური ბაღის კედლებს, ახლა კი საგულდაგულოდ ემზადებიან ბოლო ზეიმისათვის.

**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.**

# ლიტერატურული საღამო

მეტეხის №1 საჯარო სკოლის მერვე კლასის (ხელმძღვანელი ელენე კოღერაშვილი) მოსწავლეები მარტო სწავლით კი არა, აქტიურობითა და ინიციატივითაც გამოირჩევიან... სწორედ მათი ორგანიზებით სკოლაში ამას წინათაც ჩატარდა ლიტერატურული ღონისძიება, რომელშიც უფროსკლასელი მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ძალიან საინტერესოდ წარიმართა.



— აღნიშნული პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში ყველა ერთად ვმონაწილეობდით, ბავშვებმა ძალიან მოინდომეს, ღონისძიებისათვის ზოგი მწერლის ბიოგრაფიას ეცნობოდა, ზოგიც ლიტერატურული გმირების დახასიათებით იყო დაკავებული, — საუბრობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თინა ნარიმანიძე, — ერთი სიტყვით, ერთობლივმა და ორგანიზებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, ლიტერატურული საღამო შედგა.

ღონისძიების პირველი ნაწილი მთლიანად დაეთმო დავით კლდიაშვილის შემოქმედების განხილვას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ქეთევან რაზმაძე, ანი დათაშვილი, ნუნუ შარიფაშვილი, თინათინ დათაშვილი, თიკა გეჯაძე, თორნიკე ლაფაჩი, ანი კალატოზიშვილი.

მიმოხილვის შემდეგ მოსწავლეებმა პედაგოგებსა და მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს წარუდგინეს თეატრალიზებული წარმოდგენა "დარისპანის გასაჭირი", რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

რუსუდან ქართლელიშვილი.

## მადლობა

ულრმესი მადლობა ჩვენი საავადმყოფოს ქირურგებს რამაზ გიორგაძეს და მამუკა კორინთელს, ექიმ-ანესთეზიოლოგ მარინა მარიამიძეს, საოპერაციოს მომსახურე პერსონალს გამოჩენილი გულისხმიერებისათვის.

სალომე ხეჩუაშვილი.

## ხსოვნა

### მარინე გეჯაძე



შვილო, მარინე, დაბადების დღეს გილოცავთ, ხუთი მაისი წელს უშენოდ, თვალცრემლიანებმა აღვნიშნეთ, ნათელი დაადგეს შენს ულამაზეს სულს ჩვენო დატანჯულო შვილო... ერთი წელი და სამი თვე სრულდება, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე სამუდამო წუხილი და ტკივილი. შენ ხომ ახალგაზრდა წახვედი ამ წუთისოფლიდან მარადიულ სასუფეველში, მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად სჭირდებოდი შენს ოჯახს, შვილებსა და მეუღლეს.

შვილო, მარინე, უშენობა გაუსაძლისი აღმოჩნდა შენი გამწარებული დედ-მამისა და ახლობლებისათვის, ყველას ახსოვხარ და ენატრები, შენ ხომ სამაგალითო და სანიმუშო მასწავლებელი იყავი. დღე ისე არ გავა, რომ არ გაგიხსენოთ, ძალიან გვაკლიხარ, ვერ ვეგუებით შენი სიკვდილით გამოწვეულ ტკივილსა და მწუხარებას.

ღვთიური მადლი ეფინოს შვილო შენს სამუდამო სამყოფელს!

**ოჯახი**



ქვემო გომის საჯარო სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი
ლარისა პავლიაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



კასპის პირველი საშუალო სკოლის 1955–56 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ელგუჯა მენაბდიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს ნინო გერმისაშვილს მამის ვლადიმერ (ვოვა) გერმისაშვილის გარდაცვალების გამო.

უშანგი მოსიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ელგუჯა მენაბდიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გივი მელაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნინო, გია, ნიკო გერმისაშვილებს მამის ვლადიმერ (ვოვა) გერმისაშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ელგუჯა მენაბდიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76